ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს

მცხ.ქ.თბილისში პურის მოედანი #1

მოქ. ნონა ზუკაკიშვილის

საკ. ტელ: 599745737

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგშია:

2008 წლიდან ჩემს, როგორც ზემოთ მითითებულ მისამართზე არსებული სახლის მესაკუთრის წინააღმდეგ, იბრძვის სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით შპს „ალიანს-ჯი“ (ს/კ204560714). მათ მიერ არასწორი, სამშენებლო ნორმების იგნორირებით იქნა ნაწარმოები სასტუმროს კომპლექსის მშენებლობა ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე შენობების ადგილას თბილისში, პურის მოედანი # 1, ჩემი სახლის მომიჯნავედ. რის გამოც მაქვს მათწინააღმდეგ სასამართლო დავები წლების განმავლობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით. ამასობაში სახლი ისაე დაზიანდა, რომ საცხოვრებლად უვარგისია.

დღეის მდგომარეობით იმის მიუხედავად, რომ შპს „ალიანს-ჯი“-ს წინააღმდეგ მოგებული მაქვს სასამართლოს ორი ინსტანცია და დღე-დღეზე ველოდები საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასაც, მისი ხელმძღვანელი პირები კი ამ გადაწყვეტილების დალოდების სანაცვლოდ მაიძულებენ სამშენებლო სამუშაოების წარმოების დასაშვებობას ჩემი სახლიდან, სადაც უკვე მზის შუქი არ ჩანს. ამასთან დაკავშირებით მივიღე კიდეც წერილი(დანართი #1), სადაც იქეთ მემუქრება შპს „ალიანს-ჯი“.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ამჟამად წარმოებული მშენებლობა შპს „ალიანს-ჯი“-ს მიერ არის უკანონო.

გთხოვთ მიიღოთ ზომები.

ნონა ზუკაკიშვილი

11.05.2018

შპს „ალიანს-ჯი“

ნონა ზუკაკიშვილს (პირადი #01024010165)
თბილისი, პურის ჩიხი #2

შპს ალიანს-ჯი (ს/კ 204560714) თბილისში, პურის მოედანი #1/#2-ში, თქვენი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ ახორციელებს სასტუმროს სამშენებლო სამუშაოს გაცემული ნებართვის შესაბამისად.

როგორც არაერთხელ მოგმართეთ, დამტკიცებული პროექტის შესაბამისად აუცილებელია მოხდეს სასტუმროს შენობის უკანა მხრიდან გალესვა. ამისთვის საჭიროა ხარაჩოები განთავსდეს და ლესვითი სამუშაოები შესრულდეს თქვენს ეზოში, ვინაიდან სხვა მხრიდან მისადგომი არ არსებობს. სამუშაოების შესრულების მაქსიმალური ვადა, როგორც მოგახსენეთ შეადგენს 7 (შვიდი) დღეს. სამუშაოების განხორციელება არანაირად არ შეგიშლით ხელს და მათი დასრულების შემდგომ სრულად დასუფთავდება ჩვენს მიერ ტერიტორია.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ, დაგვრთოთ ნება თქვენს ეზოში (თბილისი, პურის ჩიხი #2-ში) მოგვცეთ ნება არაუმეტეს 7 (შვიდი) დღის განმავლობაში განვათავსოთ ხარაჩოები და შევასრულოთ სასტუმროს შენობის ლესვითი სამუშაოები. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ შესაბამის სამართლებრივ ზომებს, აგრეთვე მოვითხოვოთ ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან აღნიშნული სამუშაოების შესრულების შეუძლებლობის გამო, ვერ მოხდება ნებართვით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების დასრულება, შენობის ექსპლუატაციაში მიღება, რაც ხელს შეუშლის სასტუმროს გახსნას და კომპანიას მიაყენებს უდიდეს ფინანსურ ზარალს. ასევე დაქირავებული გვყავს სათანადო რაოდენობის მუშახელი რომელსაც ვუხდით ხელფასს და არდაშვების შემთხვევაშიც ამ კუთხითაც მოგვადგება ზიანი.

იმედს ვიტოვებთ გაგებით მოეკიდებით ჩვენს თხოვნას და დაგვრთავთ ნებას განვახორციელოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები.

პატივისცემით
შპს ალიანს-ჯი-ს დირექტორი
ნინო კოკაია

23.05.2018